16. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 70 000 ლარი ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში (სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი, სკოლა თუ ცენტრი) გათვალისწინებულია სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯი. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის გათვალისწინებულია სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურება. პროგრამით სარგებლობს 71 ბენეფიციარი. საიდანაც 35 არის რეაბილიტაცია აბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ხოლო 36 ბავშვი არის ადრეული განვითარების პროგრამის მოსარგებლე პროგრამიდან დაფინანსდა სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯი. პროგრამიდან გახარჯულია 37974 ლარი. პროგრამის განხორციელებით შშმ ბავშვებს ხელი შეეწყო

მკურნალობის ჩატარებაში. რაც ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

17. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. მიერ. პროგრამის ბიუჯეტია 3000 ლარი. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის თანხა გაცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1000 (ათასი) ლარამდე. პროგრამიდან გახარჯულია 1000 ლარი, პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა.

18. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 7000 ლარი, პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა პროგრამიდან გახარჯულია 7000 ლარი. პროგრამით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი ხელი შეეწყო ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

19. მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 0 ლარი, პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამით ისარგებლა 7 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 4800 ლარი.

20. 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2000 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 300 ლარის ოდენობით პროგრამით ისარგებლა 6 ბენეფიციარმა პროგრამიდან გახარჯულია 1800 ლარი. პროგრამის განხორციელებით ხელი შეეწყო ბავშვების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

21. ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 6600 ლარი, ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდართი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის ცელიაკით დაავადებულ პირთა დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში 300 (სამასი) ლარი. პროგრამით სარგებლობს 3 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 3300 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულია პროგრამის მიზანი. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების ხელშეწყობას.

22. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეზილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 82 000 ლარი, პროგრამის მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო

კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლები არიან(R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოფნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 500(ხუთასი) ლარისა. პროგრამიდან გახარჯულია 22820 ლარი. პროგრამით სარგებლობს 13 ბენეფიციარი. პროგრამის განხორციელებით ხორციელდება შშმ ბავშვების მკურნალობის ჩატარებაში ხელშეწყობა.

23. რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახები, რომელთაც აქვთ მძიმე ყოფითი პირობები არსებობს ძალადობის მაღალი რისკი;( უგულბებელყოფილია ბავშვის უფლებები, ბავშვი ვერ იღებს განათლებას; არ აქვს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ბავშვი განიცდის ფიზიკურ ან/ და ფსიქოლოგიურ ძალადობას) ოჯახს გაეწევა დახმარება საჭიროების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბავშვის სოციალური მუშაკის და ტრეფიკინგის მხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკის შეფასების/დასკვნის გათვალისწინებით. ბენეფიციარს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს გაეწევა როგორც ფინანსური (მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება) ასევე არაფინანსური (სწავლება/გადამზადება, ფსიქოლოგის დახმარება, ადვოკატირება) დახმარება ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 4000 (ოთხიასი) ლარამდე. პროგრამა გათვლილია 8 ბენეფიციარზე. ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების მიზნით მერიის ბავშვის სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე განხორციელდება მშობლების შერჩევა მათი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, განხორციელდება ე.წ. „პოზიტიური მშობლის“ პროგრამა. ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ბავშვის ასაკობრივი კრიზისების დაძლევაზე და ა.შ. განხორციელდება მშობლებისთვის ცნობიერების ამაღლება. მუნიციპალიტეტი „პოზიტიური მშობლის“ სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების შესყიდვის გზით. პროგრამა გათვლილია 25 ბენეფიციარზე. სოციალური მუშაკის მიერ პერიოდულად განხორციელდება მონიტორინგი 6 თვის განმავლობაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების 2023 წლის ექვსი თვის ანგარიში.

მიმდინარე წლის ექვს თვეში ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ მარტივი ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 5 შემთხვევის სახეზე. სოციალურად და ეკონომიურად მოწყვლად ოჯახებში პრობლემის განსაზღვრის და საჭიროების შეფასების საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერი ინსტრუქციის თანახმად მომზადდა სკრინინგის დოკუმენტები, ბავშვის/ების და ოჯახების შეფასება, სოციალური მუშაობის დაგეგმვა, მხარდაჭერა და ადვოკატირება სხვადასხვა უწყებებთან. მუდმივად ხორციელდება მონიტორინგი და კონსულტირება ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით გაწერილ საჭირო აქტივობებზე, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით - ადვოკატირება სამედიცინო დაწესებულებებთან, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და ბავშვის განვითარების მიზნით - კოორდინირებული მუშაობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ადრეული განვითარების სახელმწიფო პროგრამის სერვისით სარგებლობის უზრუნველსაყოფად საჭირო დოკუმენტების მომზადება, ბავშვის ოჯახურ გარემოში შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით - მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების ხელმისაწვდომობა, „0-დან ერთ წლამდე კვების ვაუჩერის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების“ და

„კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამით სარგებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში გადამისამართება, ოჯახში სრულწლოვანი წევრების დასაქმების ხელშეწყობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება ჩართულია პროექტში - ბავშვის უფლებათა კოდექსის 99-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, მთავრობის ადმინისტრაციისა და UNICEF -ის კოორდინირებული თანამშრომლობით შემუშავებულ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტში „ბავშვის უფლებასთა კოდექსის საფუძველზე განსაზღვრული უწყებათაშორისო კოორდინაციის წესის დამტკიცების შესახებ“ რომლის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, უწყებათაშორისი სისტემის გამართული და კოორდინირებული ფუნქციონირება. ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებას პროექტის ფარგლებში განსახილველად წარდგენილი აქვს ოთხი მოქმედი შემთხვევის სახე, პროექტს უძღვება სოფიო კილაძე, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის წევრი.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაცია World vision-თან. მიმდინარე წლის 11 ივლისს დაგეგმილია ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების მიზნით, მშობლების უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, ე.წ. „პოზიტიური მშობლის“ ტრენინგ მოდულის ჩატარება უსასყიდლოდ, რითაც დაიზოგება ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა. სოციალური მუშაკის რეკომენდაციით მუნიციპალიტეტში მცხოვრები 25 მშობელი ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ბავშვის ასაკობრივი კრიზისების დაძლევაზე და ა.შ. გადამზადება, მათი ცნობიერების ამაღლება და განავითარონ უნარები პოზიტიური მშობლის კუთხით.

მ/წლის ექვსი თვის განმავლობაში ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ მოახდინა შესაბამისი რეაგირება სხვადასხვა უწყებიდან და მოქალაქეებიდან შემოსულ 39 წერილ/განცხადებაზე.

2022 წლის 17 თებერვლიდან საქართველოს მთავრობის N81 დადგენილების ფარგლებში ამოქმედდა საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია, სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობისა და სოციალური დაცვის/დახმარების უზრუნველყოფის გზით. ამ დადგენილების შესაბამისად განყოფილების თანამშრომლების მიერ კონსულტირება გაეწია და ხელშეკრულება გაუფორმდა 524 ბენეფიციარს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, პროგრამის ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტებით გადაცემული ინვენტარის რაოდენობის გადამოწმება და შესაბამის უწყებისთვის გადაცემა, ასევე ყოველთვიურად მიმდინარეობს დასაქმებული ბენეფიციარების მიერ შესრულებული სამუშაო ტაბელების ასახვა ელექტრონულ ბაზაში.

სამსახურის მიერ მომზადდა 347 საგარანტიო წერილი. სხვადასხვა სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით მომზადდა მერის მიერ გამოსაცემი 367 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.71 სამსახურობრივი ბარათი.

## მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი შეიქმნა 2007 წლის 30 ივლისს. ცენტრი დააფუძნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკ. #32)

სააღმზრდელო ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნების, ემოციური სამყაროსა და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას.

სააღმზრდელო ცენტრის საქმიანობა ემყარება ჰუმანიზმის, დემოკრატიულობისა და ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს

სააღმზრდელო ცენტრი სასწავლო აღმზრდელობით პროცესს წარმართავს ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებითა და განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი .

სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრი აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს მუნიციპალიტეტში შემავალ 16 ტერიტორიულ ერთეულში. 870 აღსაზრდელი.

Bbiujeti – 3450000 lari

- bavSvTa raodenoba – 870 bavSvi
  
- TanamSromelTa raodenoba – 418

StatiT 386 , xelSekrulebiT 32

biujeti muxlobrivad gadanawilda Semdegnairad:

1. Sromis anazRaureba 2408400 lari
2. StatgareSe momuSaveTa anazRaureba – 101682 lari
3. kveba – 669974 lari
4. transporti – 26441 lari
5. sxva danarCeni saqoneli da momsaxureba – 18027 lari
6. ofisis xarji – 208876 lari
7. სოც.უზრუნველყოფა - 2600
8. მივლინება - 4000
9. არაფინანსური აქტივების ზრდა - 10000

2023 წლის პირველ კვარტალში gamocxadda da daido xelSekruleba 14 tenderze. aqedan 10 kvebis tenderi:

1. შ.პ.ს „ნება პლიუსი“ 64147,20 lari
2. შ.პ.ს „ნება პლიუსი“ 7315,20 lari
3. შ.პ.ს „ნება პლიუსი“ 187587,50 ლარი
4. შ.პ.ს „ნება პლიუსი“ 9730ლარი
5. შ.პ.ს „ნება პლიუსი“ 8568 ლარი
6. შ.პ.ს „ნება პლიუსი“ 72000 ლარი
7. შ.პ.ს „დემე“ 99935,40 ლარი
8. შ.პ.ს „ნება პლიუსი“ 30067,20 ლარი
9. შ.პ.ს „კლინტექსი“ 24223 ლარი
10. ი/მ „ნათია ცინცაძე“ 158760 ლარი

11. ი/მ „გოგოლა ჭყონია“ 51630 ლარი
12. შ.პ.ს „ბრიკეტი 2020“ 31850 ლარი
13. ი/მ „ამირან მშვიდლობაძე“ 11880 ლარი

2023 წლის იანვრის თვეში მოხდა საბავშვო ბაღების თანამსრომლების ხელფასის ზრდა 100 ლარით..

ბაღებში გათბობისათვის შექმნილი იქნა 24,5 ტონა ხის საწვავი ბრიკეტი.

2023 წლის მეორე კვარტალში სულ ათვისებულია 1739510 ლარი. მუხლობრივად; შრომის ანაზღაურება-1183056 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება- 71774 ლარი. ოფისის ხარჯი-237352 ლარი. კვების ხარჯი -193188 ლარი.. ტრანსპორტის ხარჯი -16017 ლარი. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -22937 ლარი, სოც. უზრუნველყოფა -2600 ლარი, მოვლინება - 3506 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდა -9080 ლარი.

**ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა:** 433 000 ლარით. აქედან სუბსიდიია\_ 383 000 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები\_ 50 000 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის მიერ 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გახარჯულია:

სულ\_ 183 253 ლარი, მათ შორის:

შრომის ანაზღაურება\_ 36 170 ლარი;

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება\_ 128 184;

სხვა დანარჩენი ხარჯები\_ 18 899 ლარი.

საკუთარი შემოსავლები\_ 27 581 ლარი, მათ შორის:

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება\_ 14 080 ლარი;

სხვა დანარჩენი ხარჯები\_ 13 501 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლაში 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დასაქმებულია შტატით\_ 7 თანამშრომელი (მათ შორის 2 ქალი და 5 კაცი), ხოლო ხელშეკრულებით 39 თანამშრომელი (მათ შორის 5 ქალი და 29 კაცი).

**ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-2023 წლის ორი კვარტლის ბიუჯეტის გეგმა არის 49.0 ათასი ლარი, შესრულება 43.5 ათასი ლარი.** ჯანდაცვის ცენტრში შტატით მომუშავეთა რაოდენობა შეადგენს 17 თანამშრომელს, შტატგარეშე- 4-ს. შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება არის 32.4 ათასი ლარი.

შრ. ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება- 6.9 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენი ხარჯი შეადგენს 4.2 ათას ლარს.

საკუთარი შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმა შეადგენს 19.7 ათას ლარს. საკასო შესრულება 12.0 ათას ლარს. შტატით მომუშავეთა შრ. ანაზღაურება არის 8.3 ათასი ლარი. შრ. ხელშეკრულებით დასაქმებულთა- 1.6 ათასი ლარი.

ჯანდაცვის ცენტრი ასევე ჩართულია სამედიცინო კუთხით სხვადასხვა სახელმწიფო

პროგრამების განხორციელებაში, რომლის მონიტორინგს და ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

მეორე კვარტალში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: შესწავლილია 65 კოვიდინფიცირებულის

კერა, ტუბერკულოზის-1, სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელება-1, 0-1 წლამდე ბავშვთა გარდაცვალება-1, ჩუტყვავილა-24, ქუნთრუშა -10,

ჩატარდა C - ჰეპატიტის და აივ/შიდსის 1017 სკრინინგი, მ/შორის C ჰეპატიტზე დადებითია -9, ხოლო აივ/შიდსზე-1. კომბინირებული ტესტირება (4 დაავადებაზე) ჩატარდა 14 ორსულს.

სანიტარული ნორმების მიხედვით ჩატარდა მონიტორინგი სილამაზის სალონებში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში გრაფიკის მიხედვით. კოვიდტესტირება ჩატარდა 2443 პირს, მათ შორის 65 დადებითია, თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში კონტროლი ჩატარდა 57 ობიექტში. დეზინფექცია-დერატიზაცია ყოველთვიურად ტარდება 21 საბავშვო ბაგა-ბაღში.

ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის „ მალარიისა და სხვა ტრანსმისიური დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესების“ კომპონენტის ფარგლებში ენტომოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარდა მალარიისა და სხვა ტრანსმისიური გადამტანების გავრცელების კერებში გადამტანების წინააღმდეგ პროფილაქტიკური დეზინსექციის პირველი ეტაპი 280 000 კვ.მ. ფართობზე, რისთვისაც დაიხარჯა 140 კგ. პრეპარატი სოლფაკ-ვპ10. ამავე პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად ხდება მალარიაზე საეჭვო პირების სკრინინგული კვლევა, გამოკვლეულია 30 პირი.

**შ.პ.ს. „ტურისმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“** შეიქმნა მიმდინარე წლის 5 მაისს, ცენტრის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების მხარდამჭერი პროგრამების მომზადება-განხორციელება.

ცენტრის მიერ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მოხდა მუნიციპალიტეტის მიერ მცირე გრანტების გაცემის პროგრამაში აქტიური თანამშრომლობა და ხელშეწყობა ბენეფიციარებისათვის, ჩვენი ცენტრის სოფლის მეურნეობის განყოფილება აქტიურადაა ჩართული აღნიშნულ პროექტში, მათ მიერ შემუშავდა და დახმარება გაეწია პირველ ეტაპზე 25 -მდე ბენეფიციარს.

ცენტრის ტურიზმის განყოფილების მიერ მომზადდა პროექტი საგრანტო პროგრამაზე ქართულ-ამერიკული კულტურის დამეგობრების პროგრამა „გურული მხედრები ამერიკაში“. რომელშიც გამარჯვების შემთხვევაში მოხდება ქ.ლანჩხუთში ორდღიანი ქართულ-ამერიკული სინთეზით გაჯერებული ორდღიანი ფესტივალის ჩატარება. რომელის მეშვეობითაც ჩვენი ქალაქის ცნობადობა ამაღლდება და საშუალებას მოგვცემს მეტი ტურისტის მოზიდვის.

ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს პროექტ „მწვანე გურია“ , რომლის ფარგლებში ადგილობრივი განვითარების ჯგუფებთან ერთად მოხდება ერთობლივი პროექტების განხორციელება , ძირითადად ტურიზმის მიმართულებით. შეიქმნება LAG-ი. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებული არიან ტურიზმის



განყოფილების თანამშრომლები. ასევე დაწყებულია გურიის ტურისტული ბრენდირება, რომლის პროცესში აქტიურადაა ჩართული ცენტრი.

ცენტრის თანამშრომლებამა მონაწილეობა მიიღეს ჩოხატაურში „ღვინის ფესტივალში“, მოხდა ადგილობრივი მეწარმეების მოძიება აღნიშნულ სფეროში, რომელთაც გაიარეს სამ დღიანი ტერინიგი. ეკო ჯორჯიას ფარგლებში, რომლის სამიზნე რეგიონია გურია, მოხდა სასწავლო კურსებში ჩართვა აღნიშნული სფეროს ბენეფიციარების.

ცენტრის მირ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების აღრიცხვა - მარკირება, ხორციელდება ტურისტული მარშუტების დაგეგმვა-შემუშავება რომელიც მზადების პროცესშია.

სოფლის მეურნეობის კუთხით ხდება ფერმერული მეურნეობების აღრიცხვა.

ცენტრის ბიუჯეტი შეადგენს 150 ათას ლარს. ცენტრში მეორე კვარტლის მდგომარეობით დასაქმებული იყო შტატით 13 ადამიანი, შტატგარეშე 3 ადამიანი.

მიმდინარე წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით ცენტრის საკასო ხარჯი შეადგენს: შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 11942 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 2192 ლარი, ოფისის ხარჯი 682ლარის, სხვა ხარჯი 25 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება 37500 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	2023 წლის II კვარტლის დაფინანსება ათას ლარში <b>561.5</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 02 01 01	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 4 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი.</p> <p>კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 200 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე.</p> <p>მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 19000 ექსპონატი. II კვარტალში ვიზიტორთა რაოდენობამ საშუალოდ შეადგენს 800.</p> <p>მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 111132 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით ისარგებლა მუნიციპალიტეტის დაახლოებით 1000 მოსახლე.</p> <p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. 2023 წელს თეატრში გაიმართა 2 დრამატული სპექტაკლი, თოჯინების თეატრში დაიდგა 3 წარმოდგენა, ქ. ლანჩხუთის საბავშვო თეატრის პროექტის ფარგლებში საბავშვო თეატრალურმა დასმა „ლორნეტი ხავერდზე“ წარმოადგინა სპექტაკლი „თეთრი კრავი“. სუფსის კულტურის ცენტრში</p>	

	<p>გაიმართა შემაჯამებელი კონცერტი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში-ოკუპაციის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება. საგანმანათლებლო პროექტი-გაეცანი მუზეუმს. ქალაქის ბიბლიოთეკაში-პოეზიის საღამო. მუზეუმებში გაიმართა ღონისძიებები თეატრის დღესთან დაკავშირებით. აღდგა სპექტაკლი „ნაცარქექია“</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა</p>				
მოსალოდნელი შედეგი	<p>კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა. სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება; მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.</p>				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
	1	მაყურებელთა რაოდენობა თეატრალურ წარმოდგენებზე	2023 წლის II კვარტალში მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 3000 კაცი	2023 წელს იგეგმება წარმოდგენების გამართვა 5000 მაყურებლისათვის	20%
	2	თეატრების მიერ დადგმული სპექტაკლების რაოდენობა	2023 წელს განხორციელდა 2 სპექტაკლი. 3 თოჯინების სპექტაკლი	2023 წელს იგეგმება 2 ახალი სპექტაკლის დადგმა. გაგრძელდება ძველი სპექტაკლების მაყურებლისათვის წარდგენა	0%
	3	კულტურის სახლების ბენეფიციარი ბავშვების რაოდენობა	2023 წლის პირველ კვარტალში ჯამში კულტურის სახლების მომსახურებით ისარგებლა 200 აღსაზრდელმა	2023 განახლდება როგორც საესტრადო ისე ფოლკლორული წრეები და ისარგებლებს 230 აღსაზრდელი	20% - მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა
	4	მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მომსახურებით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობა	2023 წლის I კვარტალში ჯამში მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მომსახურებით ისარგებლა 2000 მოსახლემ	2023 წელს იგეგმება არსებული 4000 კონტინგენტის მომსახურება	20% - მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა

**ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების 2023 წლის ბიუჯეტი**  
 თავდაპირველად განისაზღვრა - 498900 ლარით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში სუბსიდია გაიზარდა 6000 ლარით და 2023 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 513645 ლარი. აქედან: სუბსიდია - 470 700 ლარი, საკუთარი შემოსავლები ნაშთის ჩათვლით - 43645 ლარი. (ნაშთი-9445 ლარი)

სუბსიდიის თანხა მიმართულია:

- შტატით თანამშრომელთა ხელფასი- 413 800 ლარი
- სოციალური უზრუნველყოფა - 576 ლარი
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 31860 ლარი,

- საქონელი და მომსახურება - 25040 ლარი.

საკუთარი შემოსავლები მიმართულია:

- შრომის ანაზღაურება -2000 ლარი
- საქონელი და მომსახურება - 30700 ლარი
- არაფინანსური აქტივები - 10945 ლარი

საბიუჯეტო სახსრები II კვარტალში გაიხარჯა- 224339 ლარი, აქედან-

- შრომის ანაზღაურება -200434 ლარი
- სოციალური უზრუნველყოფა- 576 ლარი
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქ. პირთა ანაზღ.- 15817 ლარი
- ოფისის მუხლი - 7011 (ელ.ენერგია-1780 ლარი, ბუნებრივი აირი - 5231ლარი)
- საქონელი და მომსახურება - 500 ლარი ( დაცვის ხარჯი)

საკუთარი შემოსავლებიდან II კვარტალში გაიხარჯა - 22233 ლარი, აქედან -

- შრომის ანაზღაურება - 1625 ლარი(ლანჩხუთის მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო და სუფსის სამუსიკო სკოლის დეაქანოზი პედაგოგებისა და წლის საუკეთესო პედაგოგების სახელფასო დანამატი 100 ლარის ოდენობით)
- მივლინება - 592 ლარი
- ოფისი - 2501 ლარი ( წყლის ხარჯი - 142 ლარი, სილქნეტი - 63ლარი,ბუნებრივი აირი - 1166 ლარი,კატრიჯების შეძენა - 510 ლარი, საოფისე ტექნ. რემონტი- 65 ლარი, სამეურნეო საქონელი - 505 ლარი,ბეჭდვითი მომსახ- 50 ლარი)
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 7350 ლარი (ლანჩხუთის მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ჩატარებულ კარლ ჩერნის სახელობის I რესპუბლიკურ კონკურსში მოწვეული ჟიურის წევრების სასტუმროსა და მათი კვების ხარჯი - 3750 ლარი, ხოლო კონკურსში მონაწილე სკოლების ხელმძღვანელთა და საპატიო სტუმართა ღონისძიებისა და წვეულების ხარჯი - 3600 ლარი).
- ტრანსპორტის ხარჯი - 3550 ლარი ( ქ. ზესტაფონში გამართულ ღონისძიებაზე „მადლი“, სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა და პედაგოგთა ტრანსპორტირება, ლანჩხუთის სამუსიკო სკოლაში გამართულ კონკურსში სუფსის სამუსიკო სკოლის მონაწილე კონკურსანტების ტრანსპორტირება და 31 დეკემბერს მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ ნამგის ხის საზეიმო ღონისძიებაზე სუფსის სამუსიკო სკოლის მონაწილე მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯი, სენაკის საიუბილეო (10წელი) არტ-ფესტივალზე ლანჩხუთისა და სუფსის სამუსიკო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტირება,ქ. ლანჩხუთში გამართულ კარლ ჩერნის სახელობის I რესპუბლიკურ კონკურსში მოწვეული ჟიურის წევრების, კონკურსის საზეიმო გახსნისათვის თბილისიდან ლაურეატი პიანისტების ტრანსპორტირება ქ. თბილისიდან ლანჩხუთში და ლანჩხუთიდან თბილისში)
- სხვა დანარჩ.საქონელი და მომსახურება - 4865 ლარი ( კ.ჩერნის სახელობის I რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო ხარჯი -3700 ლარი, ფესტივალში (სენაკი, ქ. თბილისი- „მომავლის ვარსკვლავები“ და ქ. თბილისი „საგუნდო საზოგადოების“ მიერ გამართულ ფესტივალში სამონაწილეო თანხა- 1165 ლარი)

ნაშთის სახით ანგარიშზე დარჩა -1961,60 ლარი

(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი წარმოგიდგინთ 2023 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შედეგებს.

ლანჩხუთის ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი წესდების მიხედვით, ვალდებული ვართ ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობა ჩავაბათ სისტემატურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, გვევალება სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა, დაოსტატება და მომზადება საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის.

ა.(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში ექვსი თვის მონაცემებით ირიცხება 65 თანამშრომელი, აქედან შტატით 9 თანამშრომელი, ხოლო ხელშეკრულებით 56 თანამშრომელი.

ცენტრს ემსახურება 26 მწვრთნელი, რომლებიც გაერთიანებული არიან სპორტის 10 სახეობაში და ავარჯიშებენ, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის სკოლების 387 მოსწავლეს.

2023 წლის დაზუსტებული წლიური ბიუჯეტი არის 609 400 ლარი, ფაქტიურად ექვს თვეში დახარჯულია 295 107 ლარი, აქედან სპორტული ღონისძიების ხარჯებისათვის დაგეგმილი იყო 23000 ლარი დახარჯულია 22 839 ლარი, (აქედან ერთი წარმატებული სპორტსმენის სტიპენდია 900 ლარი,) სპორტული ღონისძიებების ტრანსპორტირებისათვის დაგეგმილია- ორ კვარტალში 12 000 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია- 11530 ლარი, მივლინებისათვის გეგმით გათვალისწინებულია -12300 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია-11501 ლარი, ოფისის ხარჯებისათვის დაგეგმილია -24503 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია- 19 907 ლარი, სამედიცინო ხარჯებისთვის დაგეგმილია 500 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 350 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებისათვის დაგეგმილია 5500 ლარი, ხოლო ფაქტიურად გაიხარჯა 5340 ლარი, ხელფასებისთვის დაგეგმილია -43500 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია- 40895 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისათვის გამოყოფილია - 180 000 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია- 179 515 ლარი. არაფინანსურ აქტივებში დაგეგმილია 2600 ლარი, გახარჯულია 3230 ლარი.

2023 წლის ექვს თვეში სპორტის სხვადასხვა სახეობებში მიღწეულია შემდეგი შედეგები :

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის გუნდში გაერთიანებულია 39 მოსწავლე სპორტსმენები წარმატებით ასპარეზობენ მსოფლიოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ტურნირებზე, მათ ექვსი თვის მანძილზე მოიპოვეს 6 ოქროს, 5 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი.

თავისუფალი ჭიდაობის გუნდში გაერთიანებულია 36 მოსწავლე სპორტსმენები წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ტურნირებზე, მათ ექვსი თვის მანძილზე მოიპოვეს 7 ოქროს, 3 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი.

ქართული ჭიდაობის გუნდში გაერთიანებულია 18 მოსწავლე სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს ლანჩხუთში გამართულ ჯამბულად ხოფერიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე და მოიპოვეს 6 ოქროს, 2 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი.

ჭადრაკი- გაერთიანებულია 36 სპორტსმენი, ისინი წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს მაშტაბით, 2023 წლის ექვს თვეში მათ მოიპოვეს 14 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.

მაგიდის ჩოგბურთის გუნდში გაერთიანებულია 39 მოსწავლე სპორტსმენები წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს რეგიონების ტურნირებზე, მათ ექვსი თვის მანძილზე საქართველოს პირველობაზე მოიპოვეს 1 ვერცხლის მედალი. კარატეს გუნდი გაერთიანებულია 42 სპორტსმენი, ექვს თვეში მოიპოვა 3 ოქროს მედალი და 7 ბრინჯაოს.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგვიმტკიცდა 2799100 ლარი ფაქტიური ხარჯი 1134746.27 ლარი. საკუთარი შემოსავლებით დაგვიმტკიცდა

7200 ლარი ფაქტი 3200 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტით დაგვიმტკიცდა 2791900 ლარი ფაქტიური ხარჯი 1131546.27 ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 311000 ლარი ფაქტიური ხარჯი 147970 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 1180200 ლარი ფაქტიური 615230.74 ლარი, მივლინება გეგმით 1100 ლარი ფაქტიური ხარჯი 660 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 218000 ლარი ფაქტიური ხარჯი 50016.63 ლარი, რბილი ინვენტარი გეგმით 15000 ლარი ფაქტიური 2110 ლარი, სამედიცინო ხარჯი გეგმით 1500 ლარი ფაქტიური ხარჯი არა, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 915900 ლარი ფაქტიური ხარჯი 287137.65 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 124000 ლარი ფაქტიური ხარჯი 20703.2 ლარი, არაფინანსური აქტივების მუხლი გეგმა 25200 ლარი ფაქტიური ხარჯი 7718.5 ლარი.

**1. დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის განყოფილება კოდი - 03 01,** წლიური დამტკიცებული გეგმა 2049200 ლარი ფაქტიური ხარჯი 870874 ლარი აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 234000 ლარი ფაქტიური ხარჯი 115300 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 825000 ლარი ფაქტიური 439542 ლარი, მივლინება გეგმით 800 ლარი ფაქტიური ხარჯი 660 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 75000 ლარი ფაქტიური ხარჯი 30100 ლარი, რბილი ინვენტარი გეგმით 15000 ლარი ფაქტიური ხარჯი 2110 ლარი, სამედიცინო ხარჯი გეგმით 1500 ლარი ფაქტიური ხარჯი არა, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 860900 ლარი ფაქტიური ხარჯი 274376 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 30000 ლარი ფაქტიური ხარჯი 3114 ლარი. არაფინანსური აქტივების მუხლი გეგმა 7000 ლარი ფაქტიური ხარჯი 5671 ლარი. ემსახურება მთლიანად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს.

**2. გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის განყოფილება კოდი - 02 03 01 01,** წლიური დამტკიცებული გეგმა 259500 ლარი ფაქტიური ხარჯი 69178 ლარი აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 21800 ლარი ფაქტიური ხარჯი 5610 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 69400 ლარი ფაქტიური 36400 ლარი, მივლინება გეგმით 300 ლარი ფაქტიური ხარჯი ჯერჯერობით არა, ოფისის ხარჯი გეგმით 98000 ლარი ფაქტიური ხარჯი 16826 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 45000 ლარი ფაქტიური ხარჯი 10343 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 25000 ლარი ფაქტიური ხარჯი არა. ემსახურება მთლიანად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს.

**3. კუთილმოწყობისა და გამწვანების განყოფილება კოდი - 03 02,** წლიური დამტკიცებული გეგმა 249800 ლარი ფაქტიური ხარჯი 120827 ლარი აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 35400 ლარი ფაქტიური ხარჯი 17160 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 191400 ლარი ფაქტიური 94277 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 5000 ლარი ფაქტიური ხარჯი 2221 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 5000 ლარი ფაქტიური ხარჯი 1250 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 13000 ლარი ფაქტიური ხარჯი 5920 ლარი.

**4. ტექნიკური წყლის სისტემის ექსპლუატაცია კოდი - 02 02 02,** წლიური დამტკიცებული გეგმა 150300 ლარი ფაქტიური ხარჯი 59227 ლარი აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 19800 ლარი ფაქტიური ხარჯი 9900 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 71300 ლარი ფაქტიური 33752 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 5000 ლარი ფაქტიური ხარჯი 870 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 5000 ლარი ფაქტიური ხარჯი 1169 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 36000 ლარი ფაქტიური ხარჯი 11669 ლარი. არაფინანსური აქტივების მუხლი გეგმა 13200 ლარი ფაქტიური ხარჯი 2048 ლარი.

ემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქ ლანჩხუთის გარადა 15 ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული წყალგაყვანილობის სისტემის შეკეთებას.

**5. ტრანსპორტისა და მექანიზაციის განყოფილება კოდი - 02 07,** წლიური დამტკიცებული გეგმა 23100 ლარი ფაქტიური ხარჯი 10120 ლარი აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 23100 ლარი ფაქტიური ხარჯი 10120 ლარი.

**6. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიება კოდი 03 04,** წლიური დამტკიცებული გეგმა 20000 ლარი ფაქტიური ხარჯი არა, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 20000 ლარი ფაქტიური ხარჯი არა.

**7. სადღესასწაულო ღონისძიებება კოდი 02 06 03,** წლიური დამტკიცებული გეგმა 40000 ლარი.